შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორის,
ქეთევან დოჩანაშვილის, ანგარიში
2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ივნისის №გ24-29 ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

2024-2025 სასწავლო წლის 1-წლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდა 2023-2029 წლების სტრატეგიული გეგმისა და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შეფასების საფუძველზე. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა სასწავლო წლის ბოლოს მიიღეს ინფორმაციები გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან და ასახეს შესაბამის სვეტში: შეფასების შედეგი.

სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ეფუძნება შეფასების შედეგის სვეტში აღნიშნულ ინფორმაციას.

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყო 5 სტრატეგიული მიზანი, კერძოდ:

სტრატეგიული მიზანი №1. ინსტუტიციური განვითარება გულისხმობდა 2 ამოცანის შესრულებას:

1.1 სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი რეგულაციების განვითარება

1.2 მოსწავლეთა საბჭოს ფუნქციონირება

სკოლამ ორივე ამოცანის შესაბამისი **5 აქტივობა სრულად შეასრულა,** კერძოდ:

ა) შეიმუშავა 2024-2025 სასკოლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით

ბ) სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი ფინანსური რესურსი, რომელიც გაწერა ბიუჯეტში.

გ) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა შეაფასა 1-წლიანი (2023-2024 წლის) სამოქმედო გეგმა და შეფასების შედეგები გაწერა სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგის გრაფებში.

დ) სკოლამ მოსწავლეთა საბჭოს დებულებაში გაწერილი პროცედურის მიხედვით ჩაატარა მოსწავლეთა საბჭოს არჩევნები და შეიქმნა მოსწავლეთა საბჭო

ე) მოსწავლეთა საბჭოს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა შემდეგი პროექტები: სკოლის ბაზაზე ჩატარდა კალაბურთის ჩემპიონატი; გამოცხადდა კონკურსი კალათბურთის ფორმის შესაქმნელად; საქველმოქმედო აქციის ფარგლებში შეგროვდა პროდუქტი, რომელიც მიეწოდა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს; შეიქმნა ეკო და კინო კლუბები და ა.შ.

სტრატეგიული მიზანი №2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/განვითარება გულისხმობდა 5 ამოცანის შესრულებას:

2.1. სასწავლო პროცესის ორგანიზება-დაგეგმვა

2.2.საგნობრივი კურიკულუმების განვითარება

2.3. მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დამატებითი გაკვეთილებისა და წრეების ორგანიზება

2.4. სასწავლო რესურსების შექმნა-განვითარება

2.5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება

აღნიშნული 5 ამოცანის შესასრულებლად გეგმაში გაწერილი იყო 9 აქტივობა:

2.1.1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება

2.1.2. საგაკვეთილო ცხრილების შედგენა

2.2.3. კათედრების მიერ საგნობრივი კურიკულუმების დახვეწა/განვითარება

2.3.1. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა/დაზუსტება მომავალი სასწავლო წლის დამატებით გაკვეთილებთან და წრეებთან დაკავშირებით

2.3.2. გასულ სასწავლო წელს ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე დამატებითი გაკვეთილებისა და წრეების ორგანიზება

2.4.1. სასწავლო რესურსების შექმნა და მათი განვითარება
2.5.1. ვერიფიკაციის მექანიზმის განხორციელება
2.5.2. გამოკითხვის ჩატარება ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმის შემოწმების მიზნით
2.5.3. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება

სკოლამ 5 ამოცანის შესაბამისი **8 აქტივობა სრულად შეასრულა**, კერძოდ:

ა) საგნობრივმა კათედრებმა შეიმუშავეს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები, რომლებიც განიხილა პედსაბჭომ და დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით

ბ) საათობრივი ბადის საფუძველზე შედგა საგაკვეთილო ცხრილი

გ) სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კათედრებმა თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკის საფუძვლზე გაანალიზეს კურიკულუმები და განავითარეს ისინი.

დ) სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ ჩაატარა გამოკითხვა მოსწავლეებსა და მშობლებს შორის მომავალ სასწავლო წელს დამატებით გაკვეთილებთან და წრეებთან დაკავშირებით.

ე) 2023-2024 სასწავლო წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი წრეები: ფეხბურთის, ბალეტის, ქართული ცეკვის, სპორტის, ხელოვნების;

ვ) ქართული ენისა და ხელოვნების მასწავლებლებმა შექმნეს სასწავლო რესურსი ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით;

სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა ამ აქტივობასთან დაკავშირებით **განმარტა,** რომ მნიშვნელოვანია, რომ აქტივობის შესრულებაში აქტიურად ჩაერთონ სხვა კათედრების წევრებიც.

ზ) სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა და სხვადასხვა კათედრის ხელმძღვანელებმა/წევრებმა ვალიდიაცია ჩაუტარეს შეფასების ინსტრუმენტებს, მისცეს უკუკავშირები მასწავლებლებს, შემთხვევითობის პრინციპით შეარჩიეს შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია და გასცეს რეკომენდაციები;

თ) სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა გეგმის 2.5.2 აქტივობის შეფასებისას შეფასების შედეგში აღნიშნეს, რომ 2.5.2 აქტივობა **შესრულებულია ნაწილობრივ:** ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა ჩაატარა გამოკითხვა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. გამოკითხვა ეხებოდა ავტორიზაციის პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტებს. გამოკითხვის შედეგებს პედსაბჭოს სხდომაზე გაეცნენ მასწავლებლები. ჯგუფის წევრებმა შეფასებასთან დაკავშირებით განმარტეს**,** რომ მნიშვნელოვანია, გამოკითხვამ მოიცვას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტი და გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღონ მშობლებმაც.

ი) სკოლაში ხარისხის ურუბნველყოფის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა შეიმუშავა რეკომედაციები, რომლებიც ეხება ავტორიზაციის მესამე და მეოთხე სტანდარტებს-შესრულდა სრულად, თუმცა ჯგუფის განმარტებით, მნიშვნელოვანია, სრულყოფილი გამოკითხვის საფუძველზე, სარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა შეიმუშავოს ოთხივე სტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები.

სტრატეგიული მიზანი №3. სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

მოიცავდა 4 ამოცანას:

3.1. ინფრასტრუქტურის განვითარება/სასწავლო სივრცის განახლება
3.2.შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღება
3.3. საგანამანათლებლო რესურსების განვითარება/გაუმჯობესება
3.4.ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი იყო 6 აქტივობა, რომელთაგან 5 შესრულდა სრულად, კერძოდ:

ა) ივლის- აგვისტოში სკოლის შენობის პირველ კორპუსში ჩატარდა რემონტი

ბ) სკოლამ შეიძინა ახალი ლიტერატურა ბიბლიოთეკისათვის
გ) სკოლამ შეიძინა ის აუცილებელი რესურსი, რომელიც აუცილებელი იყო საბუნებისმეყველო ლაბორატორიის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის
დ) სკოლაში მუშაობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა
ე) სკოლის ვებგვერდზე განთავსდა სასკოლო ცხოვრების შესახებ ყველა საყურადღებო და აუცილებელი ინფორმაცია, სიახლეები
სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შეფასებით, **არ შესრულდა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღება,** რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტომ 2024 წლის თებერვლის თვეში შეითანხმა სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის პროექტები, ხოლო 2024 წლის მარტიდან სკოლამ დაიწყო შეთანხმებული პროექტების მიხედვით ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობა, რაც 2024 წლის ბოლომდე დაასრულა, გარდა საევაკუაციო კიბისა.
2025 წლის 2 აპრილს სკოლამ მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისგან სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება №შ-81/25, რომლის თანახმადაც, სკოლა ვალდებული იყო, შეეჩერებინა სამშენებელო სამუშაოები ნაკვეთზე, რომელზეც მიმდინარეობდა საევაკუაციო კიბის მოწყობა.
სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აპრილის თვეშივე სკოლამ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიმართა სხვადასხვა სამსახურს გარკვეული დოკუმენტაციის მოთხოვნით, რათა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისთვის მისი წარდგენის საფუძველზე, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საევაკუაციო კიბის მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.
სტრატეგიული მიზანი №4. ადამიანური რესურსის მართვა გულისხმობდა 4 ამოცანის შესრულებას:
4.1.ახალი კადრების მოძიება- ხელშეკრულებების დადება
4.2 სკოლაში თანამშრომელთა შეფასების სისტემის განხორციელება
4.3. სკოლის თანამშრომელთა ჩართვა შესაბამის სასწავლო კურსებში, ტრენინგებში
4.4. სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა ჩართვა English book education-ის ყოველწლიურ ტრენინგებში
აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი იყო 10 აქტივობა, რომელთაგან 8 შესრულდა სრულად, კერძოდ:
ა) სკოლას ჰყავს სასკოლო გეგმის შესაბამისი მასწავლებლები; ახალი მასწავლებლები აყვანილნი არიან კონკურსის წესით, კერძოდ, შემდეგი საგნების მასწავლებლები: ბიოლოგია, მათემატიკა, ხატვა, სპორტი, ინგლისური ენა;
ბ) ყველა მასწავლებელთან გაფორმდა კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება;
გ) ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის დაცვით შრომითი ხელშეკრულებები;
დ) სკოლაში შემუშავებული თანამშრომლის შეფასების ფორმების მიხედვით, დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ტექნიკურმა პერსონალმა შეაფასეს საკუთარი მოვალეობების შესრულების ხარისხი, ასევე დირექტორმა შეაფასა დებულებით განსაზღვრული მათი ფუნქციების შესრულების ხარისხი;
ე) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა ჩაატარეს კვლევა სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებთან. კვლევაში ჩართული იყო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. კვლევის ანგარიში სტუდენტებმა მიაწოდეს სკოლას;
ვ) უცხო ენათა კათედრის ინგლისური ენის მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ „English Book Education"-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა. ამ პროცესში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაეღრმავებინათ ცოდნა თანამედროვე სასწავლო რესურსებსა და მიდგომებზე. კათედრის ხელმძღვანელობამ ასევე მიიღო

მონაწილეობა ორგანიზაციის მიერ გამართულ ყოველწლიურ კონფერენციაში, სადაც გაეცნო ახალი სახელმძღვანელოებს, სწავლების ინოვაციურ მეთოდებსა და საგნობრივი განახლებების ტენდენციებს.
ზ) განახლდა და დაიხვეწა ინგლისური ენის სასწავლო პროგრამა. შედეგად კურიკულუმებში დარჩა წარმატებით აპრობირებული რესურსები, განახლდა აქტუალური დამხმარე მასალები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და მოსწავლეთა ინტერესებს;
თ) სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს english book education-მა ჩაუტარა 2 ტრენინგი, რომლებზეც გააცნეს max მათემატიკის (მაკმილანის გამომცემლობა) და MYP - ის წიგნების (პირსონის გამომცემლობა) სტრუქტურა, სწავლების სინგაპურის მეთოდი, მასწავლებლებს ჰქონდათ შეხვედრები მათემატიკის აკადემიურ ჯგუფთან, ასევე გაკვეთილებზე დაკვირვებები, უკუკავშირი თითოეულ გაკვეთილზე.
სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებმა 2 ამოცანის შესახებ აღნიშნეს, რომ **არ შესრულდა, კერძოდ:**
ა) მასწავლებლებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა თუ სასწავლო კურსებში, რადგან წლევანდელ სასწავლო წელს მასწავლებლის სახლს არ გამოცხადებია ტრენინგების ციკლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ჯგუფმა განმარტა, რომ შესაძლოა, სკოლამ მოიძიოს სხვა ტრენინგების მიმწოდებლები ანდა შექმნას შიდა სასკოლო გამოცდილების, ცოდნის გაზიარების სისტემა, რომელშიც ჩაერთვებიან კათედრები; აღსანიშნავია, რომ სკოლის სპორტის მაძიებელმა მასწავლებელმა გაიარა პრაქტიკული ნაწილი, მიიღო შეფასება და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიიღო უფროს მასწავლებლის სტატუსი;
ბ) სკოლის თანამშრომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ტრენინგებსა თუ სხვა სასწავლო კურსებში, რადგან განვლილ სასწავლო წელს არ გამოკვეთილა საჭიროება, რომ თანამშრომლებს მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგებსა თუ სხვა სასწავლო კურსებში;
სტრატეგიული მიზანი №5.შიდა და გარე კომუნიკაციის გაძლიერება გულისხმობდა 4 ამოცანის შესრულებას:
5.1. სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის გაძლიერება ბრიტანეთის საბჭოების მიერ ორგანიზულ ინგლისური ენის გამოცდაში მოსწავლეთა მონაწილეობის მისაღებად;
5.2. საქართველოში მოქმედ მუზეუმებთან, მწერალთა სახლთან და სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობა-მათ საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლეთა მონაწილეობა;
5.3. თანამშრომლობა UK bridge-თან და სხვა ორგანიზაციებთან კემბრიჯის პროგრამის სწავლების მიზნით;
5.4. მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერული დაგემვის სისტემის დამკვიდრება სკოლაში
აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი იყო 9 აქტივობა, რომელთაგან 3 შესრულდა სრულად, კერძოდ:
ა) საგნობრივმა კათედრებმა წლის დასაწყისში განსაზღვრეს იმ საგანმანათლებლო თუ კულტურული ორგანიზაციები, რომელთა პროგრამები უკავშირდება კლასების მიხედვით სასწავლო მიზნებს. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია პრეზენტაციების, სასწავლო ექსკურსიების, ღონისძიებების ცხრილი;
ბ) სხვადასხვა კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ საგანმანათლებლო თუ კულტურულ ორგანიზაციებში, კერძოდ: I კლასი - ხელოვნების სასახლესა და ბოტანიკურ ბაღში;
II კლასი - ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში
III-IV-V კლასები -იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, ვარიანში და შინდისელი გმირების მემორიალთან
~VI კლასი- ანანურსა და ბაზალეთის ტბაზე.
VII კლასი- წმინდა ნინოს საფლავზე, ბოდბეში
VIII კლასი- ბეთანიის მონასტერში
IX კლასი -იოანე ზედაზნელის სამონასტრო კომპლექსში, ეროვნულ გალერეასა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში
IX კლასი: ბოლნისის სიონში, სამცხე-ჯავახეთში: აწყური, ვარძია, ხერთვისი, ბერთა, საფარა
გ) უცხოური ენების კათედრის ინიციატივით სკოლის 8 მოსწავლე იმყოფებოდა ინგლისურენოვან ბანაკში იტალიაში, სადაც მათ მიეცათ უნიკალური შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ინტენსიურ სასწავლო პროცესში

და გააუმჯობესებინათ ინგლისური ენის უნარები. ბანაკის ფარგლებში მათ მონაწილეობა მიიღეს მრავალფეროვან, საინტერესო აქტივობებში: დრამატული დადგმები, შემოქმედებითი წერა, პროექტებზე მუშაობა, ფილმების გადაღება და სხვა.

დ) სამოქალაქო განათლების კლუბის VII-XII კლასების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ აქტივობებში:

- თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორთან თემაზე ,,ეკონომიკის სწავლება ხელოვნური ინტელექტის" გამოყენებით
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენელთან
- მწერალ დავით ტურაშვილთან თემაზე ,,საბჭოთა ცენზურის შედეგები ქართულ ლიტერატურაში''
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ექსპერტებთან
- საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ლექტორებთან.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ინიციატივის ფარგლებში ახალგაზრდა ევროპელი ელჩებთან
- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელთან
- თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ლექტორებთან და მედიის ხმის წარმომადგენლებთან
- ფლექსის კურსდამთავრებულთან საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე
- ERASMUS MUNDUS პროგრამის სტუდენტთან სრულად დაფინანსებულ საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამებზე; ვიზიტები
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში
- ორბელიანის აკადემიაში და შეხვედრა ლექტორებთან დაკავებულის უფლებებზე, ჩხრეკის პროცედურებზე; სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და პატიმრის უფლებებზე და სხვა;

ე) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სამმა სტუდენტმა კვლევის კომპონენტში გაანალიზა სკოლის პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის სისტემის მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები და სკოლას მისცა საუკეთესო რეკომენდაციები, რჩევები, მაგ, შეიქმნა პროფორიენტაციის კლუბი;

2 ამოცანა **შესრულდა ნაწილობრივ,** კერძოდ: ამოცანა 5.1.1.მართლია, ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის მასწავლებლებმა ინტენსიურად იმუშავეს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, თუმცა 40%-მა მონაწილეობა მაინც არ მიიღო ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ გამოცდებში; ამის ალტერნატივად მოსწავლეების დიდი რაოდენობა მონაწილეობდა English Book education-ის ოლიმპიადაში.

ასევე ამოცანა 5.4.5-პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში, დაგეგმილი იყო უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში თითო-თითო შეხვედრა, თუმცა ჩატარდა მხოლოდ ერთი შპს საქართველოს უნივერსიტეტთან.

ამოცანები 5.4.3. და 5.4.3 **არ შესრულდა,** რადგან 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები კვლევის კომპონენტის ფარგლებში მუშაობდნენ პროფესიული ორიენტაციის კონცეფციაზე, მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, განახლებაზე, სიახლეების შეტანაზე, ამდენად, დაგეგმილი აქტივობები არ განხორციელდა, თუმცა შედგა 5 შეხვედრა იმ პირებთან, რომლებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს მოსწავლეებმა, კერძოდ: იურისტთან, პროგრამისტთან, ტურიზმის მენეჯერთან, მარკეტოლოგთან, კარიერული დაგეგმვის მენეჯერთან.